კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა	თეა(ნატო)ლომიტაშვილი

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	ფინედუს კუთხის მოწყობის იდეა — სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში. ფინანსური წიგნიერება თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია. სკოლის ბიბლიოთეკაში ფინედუს კუთხის დამატება შექმნის მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომ, სანდო და საინტერესო რესურსს, რომლის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ფინანსური უნარების განვითარებას. ეს კუთხე გახდება სივრცე, სადაც მოსწავლეები ცოდნას მიიღებენ ფინანსების მართვის, დაზოგვის, დაბანდებისა და პასუხისმგებლიანი მოხმარების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას. ფინედუს კუთხე არ იქნება მხოლოდ წასაკითხი რესურსების ადგილი — ის იქცევა ფინანსური განათლების პრაქტიკულ ცენტრად. დაგეგმილია მცირე ტრენინგები, ვიქტორინები და თემატური დისკუსიები, რომლებიც დააინტერესებს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს. ფინედუს მასალების გამოყენებით მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბი გაავრცელებს მიღებულ ცოდნას თანატოლებში, მშობლებთან და ადგილობრივ საზოგადოებაში, რაც გააძლიერებს ფინანსური ცნობიერების საერთო დონეს. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ჭკვიანი დაფის საშუალებით, საგაკვეთილო დასვენებების დროს დაგეგმილი გვაქვს ფინედუს მიერ შემოთავაზებული ვიდეორგოლების ჩვენება. ფინედუს რესურსებით სწავლება ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის ახალი არ არის — მოქალაქეობის გაკვეთილზე ყოველთვის ვიყენებ იმ რესურსებს, რომლებიც ტრენინგის შემდეგ საჩუქრად გადმომეცა. სამასწავლებლოში, სხვა რესურსებთან ერთად, ფინედუს წიგნებიც ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის და საჭიროებისამებრ ყველა იყენებს მათ.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

	ყველა სიახლეს ვუზიარებთ მოსწავლეებს. განსაკუთრებით მოეწონათ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მეხსიერების გასავარჯიშებელი თამაში "ქართული ფული", რომელიც ამოვბეჭდეთ და მოსწავლეებთან ერთად თავად დავამზადეთ.საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები დაინტერესდნენ -სკოლა ბანკის სახელმძღვანელოში მოცემული მასალებით და მრავალფეროვანი აქტივობებით. ფინედუს კუთხის არსებობა გააძლიერებს მოსწავლეთა კრიტიკულ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღების უნარსა და პასუხისმგებლობის გრძნობას პირად ფინანსებთან მიმართებით. მასწავლებლები შეძლებენ ფინედუს რესურსების ინტეგრირებას სხვადასხვა საგანში (მაგალითად, მათემატიკაში — ბიუჯეტირების დავალებებით; საზოგადოებრივ მეცნიერებებში — ეკონომიკის ძირითადი პრინციპების სწავლებით). მშობლები კი ჩაერთვებიან საერთო პროექტებში, რაც სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობას კიდევ უფრო გააძლიერებს. რა ტიპის პროექტსა თუ აქტივობებს განახორციელებს სკოლა ფინედუს კუთხის რესურსების გამოყენებით: • მოსწავლეთა პრაქტიკული პროექტები — პირადი ბიუჯეტის შედგენა, მინი-ბიზნესის მოდელირება • ფინედუს ელჩების პროგრამა — აქტიური მოსწავლეები გახდებიან სკოლის შიგნით ფინანსური განათლების პოპულარიზატორები • თანამშრომლობა სხვა სკოლის მოსწავლეებთან-სკოლა თანამშრომლობს სხვა სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბებთან ,მოვიწვევთ მათ და გავუზიარებთ ამ რესურსებს. _____ ფინედუს კუთხე კეხიჯვარის საჯარო სკოლაში გახდება ცოცხალი სივრცე, რომელიც ცოდნის მიღების გარდა, პრაქტიკული ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარების მთავარ ბერკეტად იქცევა.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • **შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ.** • **განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.**
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	მოსწავლეები მასწავლებლები ,მშობლები.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტს განვახორციელებ მოსწავლეთა თვითმართველობასთან ,სამოქალაქო განათლების კლუბ“გზამკვლევთან“ერთად .
პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	პროექტი“ გავხდეთ ფინანსურად მოაზროვნე თაობა“ პროექტის ხანგრძლივობა: 2 თვე **მიზანი**: მოსწავლეებში ფინანსური ცოდნის ამაღლება, პასუხისმგებლიანი ფულის მართვის უნარების განვითარება და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მონაწილეები: IV-XII კლასის მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია პროექტი განხორციელდება სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში ,მოსწავლეთა თვითმმართველობის ,სამოქალაქო განათლების კლუბ“გზამკვლევის და სამოქალაქო განათლების პედაგოგის თეა ლომიტაშვილის ინიციატივით. აქტივობები დეტალურად: 1. **ფინედუს კუთხის გახსნა** აქტივობა: „ფინედუს კუთხის“ ოფიციალური გახსნა აღწერა: პრეზენტაცია და კუთხის დათვალიერება.. საშუალებები: საინფორმაციო პლაკატები, ფინედუს რჩევები, თამაშები, ფლაერები. შედეგი: აქტიური ჩართულობა და მოტივაციის ამაღლება. 2. **კვირეული „ფულზე ვსაუბრობთ ჭკვიანურად“**

	თემა 1: „ჯიბის ფულის ბიუჯეტი“ – VI-VII კლასი თემა 2: „რა ღირს ცხოვრება?“ – VIII-IX კლასი თემა 3: „ჩემი პირველი ინვესტიცია“ – X-XII კლასი ფორმატი: სიტუაციური როლური თამაშები, დისკუსიები, მცირე პრეზენტაციები. დავალება: ჯგუფებს დაევალებათ დაგეგმონ კვირის ხარჯები, შექმნან ციფრული ან ხელით შედგენილი ბიუჯეტები. 3. **„ფულით თამაში – თამაშით სწავლა“** აქტივობა: ფინანსური სამაგიდო თამაშების მარათონი (ფინედუსის თემატური თამაშები) დონეები: ასაკის მიხედვით – დაწყებითი: მარტივი სავაჭრო თამაშები; უფროსებისთვის – ბიუჯეტირებისა და სტრატეგიის ელემენტებით შედეგი: მოსწავლეები განივითარებენ სტრატეგიულ აზროვნებას და ფინანსურ პასუხისმგებლობას. 4. **„ფასების დეტექტივები“** დავალება: 7- 8 კლასის მოსწავლეები იკვლევენ ბაზრის ფასებს სხვადასხვა მაღაზიაში, ამზადებენ შედარებით ანალიზის პრეზენტაციას და წარუდგენენ მოსწავლეებს და პედაგოგებს. მიმართულება: ფინანსური შედარებითი ანალიზის უნარის განვითარება. პროდუქტი: ფასების დიაგრამები, პრეზენტაციები ფინედუს კუთხეში. 5. **„მინი მეწარმეები“** – სკოლური ბაზრობა დავალება: სკოლაში არის სამეწარმეო კლუბი ,პროექტის ფარგლებში ვითანამშრომლებთთ მათთან ,სამეწარმეო კლუბის მოსწავლეები შექმნიან პროდუქტებს და გამარტავენ პატარა ბაზრობას. ფაზები: დაგეგმვა და ხარჯთაღრიცხვა; ფასების განსაზღვრა; გაყიდვები და მოგების ანალიზი. შემოსული თანხა: მოხმარდება ბიბლიოთეკის საჭიროებებს ან საქველმოქმედო მიზანს. 6. **მშობელთა ჩართულობა** – „ფინედუს შეხვედრა ოჯახში“ ფორმატი: ერთდღიანი შეხვედრა მშობლებთან თემაზე – „როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ფულის მართვა სახლში“ შედეგი: სკოლისა და ოჯახის პარტნიორობა ფინანსური აღზრდის პროცესში. 7. **ფინალური პროდუქტი** – „ფინედუს გაზეთი“ დავალება: მოსწავლეთა გუნდები შექმნიან მცირე გაზეთს და ბლოგს ფინანსურ თემებზე ფინედუს რესურსების გამოყენებით . შედეგი: პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია სკოლის საზოგადოებისთვის. **8.მეგობარი სკოლის მოსწავლეების მოწვევა** სკოლას აქვს სხვა სკოლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა ,ფინედუს პროექტის ფარგლებში მოვიწვევთ სოფელ ბებნისის,მოხისის,ქვემო ხვედურეთის სკოლის მოსწავლეებს ,დავათვალიერებინებთ ფინედუს კუთხეს და გავუზიარებთ პროექტის ფარგლებში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	• მოსწავლეები დაინტერესდებიან ფინანსური საკითხებით და დაეუფლებიან საბაზისო უნარებს, როგორებიცაა ბიუჯეტირება, დაგეგმვა და ფინანსური პასუხისმგებლობა. • გაძლიერდება ოჯახისა და სკოლის პარტნიორობა ფინანსური განათლების მიმართულებით. • სკოლაში ჩამოყალიბდება აქტიური, საგნობრივად დატვირთული სივრცე – „ფინედუს კუთხე“, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც საკლასო, ისე არაფორმალური სწავლებისთვის. პროექტის წარმატების შესაფასებლად გამოვიყენებთ • წინასწარი და შემდგომი კითხვარები – მოსწავლეების ფინანსური ცოდნის დონის გასაზომად პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ. • რეფლექსიური აქტივობები – მოსწავლეები წერილობითი ან ზეპირი ფორმით აფასებენ საკუთარ გამოცდილებას.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	რადგან სასწავლო წლის დასასრულია პროექტს დავიწყებ 2025-2026 სასწავლო წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ,მას შემდეგ როდესაც ავირჩევთ მოსწავლეთა თვითმართველობას ,რადგან მოსწავლეთა თვითმართველობასთან და სამოქალაქო კლუბთან ერთად ვგეგმავ პროექტის განხორციელებას.